2022

ექსპერტიზა

ექსპერტი:

ნინო ჩაჩხიანი

სპეციალისტი:

მიხეილ მუმლაძე

სარჩევი

შესწავლის საგანი:.....3

დამკვეთის რეკვიზიტები: 3

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:.....3

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: 4

ტექნიკური რეგლამენტები: 4

ნორმატიული მოთხოვნები შესაბამისობაზე: 4

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: 5

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ 5

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა 6

გამოვლენილი გარემოებები:.....7

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:.....7

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები: 8

დაკავებულობები 8

დაკავებულობების დატვირთვები.....9

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:.....10

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება: 11

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება: 13

6. მისაწვდომობის შეფასება 14

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება: 15

8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება.....15

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება და შერეული დაკავებულობები: 16

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:.....16

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება: 18

დასკვნა:.....18

დანართი 1: 19

დანართი 2: 22

ილუსტრაციების ნუსხა

სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი 7

ფოტო 1. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 19
ფოტო 2. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 19
ფოტო 3. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 20
ფოტო 4. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 20
ფოტო 5. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 21
ფოტო 6. შრომის წიგნაკის ფოტოასლი 21
ფოტო 7. დიპლომის ფოტოასლი 22

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა 7
ცხრილი 2. სივრცეების დ.დ. 9
ცხრილი 3. სართულების დ.დ. 9
ცხრილი 4. სიმაღლე 10
ცხრილი 5. ფართობები 10
ცხრილი 6. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად) 11
ცხრილი 7. საერთო სავალი ბილიკის შეფასება 11
ცხრილი 8. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის 12
ცხრილი 9. მაქსიმალური სავალი მანძილები 12
ცხრილი 10. დერეფნების ცეცხლმედეგობა 13
ცხრილი 11. გამტარუნარიანობის შეფასება 13
ცხრილი 12. დერეფნის სიგანე 14
ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან 15
ცხრილი 14. დაკავებულობების გამოჯვნის ცხრილი 16
ცხრილი 15. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები 18

ექსპერტიზა

ქ. თბილისში,დედოფლისწყაროს ქ N3 და N5 ში მდებარე სასტუმროს შენობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შეფასების ანგარიში

შესწავლის საგანი:

სასტუმროს შენობის (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის (*შემდეგში ტექნიკური დოკუმენტაცია*) **ტექნიკურ რეგლამენტებთან** (*მითითებულია ქვევით*) **შესაბამისობა**.

დამკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: შპს „NES TRAVEL“
- საიდენტიფიკაციო კოდი: 404398200
- დირექტორი: ლიკა კრიხელი
- მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, დედოფილისწყაროს ქ., N 3, N 5
- პირადი ნომერი : 01013029236
- +(995) 596 72 72 22
- krixo1@hotmail.com

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.17.01.080.038 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882020690874)
- მესაკუთრე: **შპს** "NES TRAVEL" (ID ნომერი 404398200)
- მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დედოფლისწყაროს ქ N3, N5
- საპროექტო შენობა/ნაგებობა:
  - ფუნქცია: სასტუმროს შენობა
  - რაოდენობა: 1
- კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: [1]

სასტუმრო შენობა	*შენობის ფუნქციური დანიშნულება*
S_{k-2} = 1207.8 კვ. მ	*შენობის **K-2** კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი*
H = 23.7 მ	*შენობის სიმაღლე*
D = 9.20 მ	*შენობის ჩაღრმავება*
L = 6.8 [2]	*შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე*

- მშენებლობის კლასი: IV

[1] მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).

[2] რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: [3]

- ტექნიკური დოკუმენტაცია (*შემდეგში ტდ*): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2022 წ.
- საკონტაქტო პირი: 596 727 222 ნიკა კრიხელი
- პასუხისმგებელი არქიტექტორი/სპეციალისტი: ლევან ძაგნიძე
- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.
- საჯარო რესურსი: http://tas.ge/

ტექნიკური რეგლამენტები: [4]

1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (3213-რს, 2018წ) – [**ref.: კოდექსი**];
2. ტექნიკური რეგლამენტი – „**განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი**“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 15.01.2014 წ N61 დადგენილებით – [**ref.#: 61**];
3. საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ დადგენილება N256 **სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ**“ – [**ref.#: 256**];
4. საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ დადგენილება N255 „**მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ**“ – [**ref.#: 255**];
5. საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ დადგენილება N57 „**მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ**“ – [**ref.#: 57**];
6. ტექნიკური რეგლამენტი – „**შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები**“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [**ref.#: 41**].

ნორმატიული მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. **[ref.: კოდექსი]**, მუხლი 141. გარდამავალი დებულებები:
   „1. 2019 წლის 3 ივნისამდე გაცემული მშენებლობის ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, ამასთანავე, მის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.“
2. [**ref.#: 255**], დადგენილების მუხლი 2:
   1. 2019 წლის 3 ივნისამდე გაცემული მშენებლობის ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, მის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.
   2. 2019 წლის 3 ივნისის მდგომარეობით, მშენებარე და აშენებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2019 წლის 3 ივნისამდე არ ექვემდებარებოდა მშენებლობის ნებართვის მიღების ან მშენებლობის შეტყობინების ვალდებულებას, 2019 წლის 3 ივნისის შემდეგაც არ საჭიროებს აღნიშნულ ნებართვას ან შეტყობინებას.
   3. თუ ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მაშინ მათი მოქმედების პერიოდში, ნებართვის გაცემის მიზნით, გამოიყენება მათი დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.
   4. ტექნიკური ზედამხედველობის შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობა.
3. [**ref.#: 255**], დანართის მუხლი 27[1]. სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას:

[3] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.

[4] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

„2. სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების ფართობის გაზრდას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

4. [ref.#:14-39]მუხლი 40. გარდამავალი დებულებები:

„1. იმ ობიექტებზე, რომლებზეც განაშენიანების რეგულირების წესების ძალაში შესვლამდე:

ა) დაწყებულია მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური, ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი რეგულირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი;“

5. **[ref.#: 41**], მუხლი 2:

„**1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე**.

2. **ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც 2017 წლის 16 ნოემბრამდე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი** ან წარდგენილია განაცხადი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, **მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი. **აღნიშნულ ობიექტებზე გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობა.**

3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: [5]

საპროექტო ობიექტის შესაბამისობა [**ref.#: 41**] **რეგლამენტთან** შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ

- სახელი გვარი: ნ. ჩაჩხიანი;
- მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დანართი 1;
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 2.

[5] [**ref.#: 256**]: *„მუხლი 2. ექსპერტიზას დაქვემდებარებული სანებართვო დოკუმენტაციის სახეები შენობა-ნაგებობის კლასების მიხედვით.“*

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა დამკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა დაპროექტებული შენობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, ნინო ჩაჩხიანმა, არქიტექტურის მაგისტრთან განათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არქიტექტორმა, სანებართვო საქმიანობის ექსპერტმა, სპეციალისტებთან ერთად მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებული ტდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელისმოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან ([**ref.#: 255**], [**ref.#: 256**], [**ref.#: 41**]).

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით ([**ref.#: 256**], [**ref.#: 41**]) უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, და/ან მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი **ნ. ჩაჩხიანი**

12.06.2022, თბილისი

გამოვლენილი გარემოებები:

შენიშვნა:

N	*ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები*	
1.	×	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი*
2.	—	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი*
3.	□	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ*

შესწავლილ იქნა შენობის ტდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:

სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი



1.1. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

N	კომპონენტი	გააჩნია	არ გააჩნია
1.	თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა	×	
2.	კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი	×	
3.	სიმაღლის შეზღუდვები	×	
4.	ფართობის შეზღუდვები	×	
5.	გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები	×	
6.	ხანძრისაგან დაცვის სისტემები	×	
7.	მოთხოვნები გასასვლელებისადმი	×	
8.	მისაწვდომობა	×	
9.	იატაკის და სახურავის ანაწყობები	×	
10.	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები	×	
11.	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები	×	

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

ref.#: 41. თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406

დაკავებულობები

საპროექტო სასტუმროს შენობა წარმოადგენს 7 სართულიან არამაღლივ ობიექტს[6], საიდანაც 3 არის მიწის დონის ქვედა ხოლო 4 მიწის დონის ზედა სართულები. თითოეული სართულის გამოყენება და შესაბამისი დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული 302-ე ქვეთავის შესაბამისად. შენობის ძირითადი დაკავებულობის ჯგუფი არის სც-1, რომელიც მიწისდონისზედა 4 სართულზეა წარმოდგენილი (±0.00; +3.30; +6.60; +9.90). სც-1 ჯგუფთან ერთად პროექტში წარმოდგენილია შემდეგი ჯგუფის დაკავებულობები: -3 სართულზე (-9.90) სწ-2 (აუზის მომსახურე ტექნიკური სივრცე) და სმ-1 (ღვინის საწარმო თავისი დამხმარე ჭაჭის გამოსახდელი სივრცითა და ქვევრების დარბაზით), -2 სართულზე (-6.60) სქ (სამრეცხაო/საშრობი/დამლაგებლის სივრცე) და თვ-3 (აუზი, გასახდელები, სპა/სამასაჟი, სველი/მშრალი საუნა), -1 სართულზე თვ-2 (რესტორანი/სამზარეულო) და სქ (მომარაგება) მიწის დონის სართულზე (შენობიდან გამოსასვლელი დონე ±0.00) სქ (ადმინისტრაციული სივრცეები) და თვ-3 (ჰოლი), მე_4 სართულზე თვ-2 (რესტორანი/ტერასა +9.90) ჯგუფის დაკავებულობები.

-1 და ±0.00 ნიშნულის სართულზე წარმოდგენილია რეზერვუარისა და სახანძრო ტუმბოს ტექნიკური ოთახები, რომლებიც ინდივიდუალურად არ კლასიფიცირდება, თუმცა მათთვის დაცულია **913.2.1** ქვეთავის მოთხოვნები ცეცხლმედეგ ზღუდეებთან დაკავშირებით.

პროექტში წარმოდგენილია 2 ტიპის ლიფტი, ერთი აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, ხოლო მეორე სასტუმროს ტექნიკური მომსახურებისთვის განკუთვნილი ლიფტი.

შენობაში თანმხლები გამოყენებები, რაც მოცემულია *ცხრილი 509*-ში, წარმოადგენს სამრეცხაო საშრობი რომლისთვისაც დაცულია *წესების* თანახმად დაკავებულობის აუცილებელი გამოთვლის დებულებები.

გამოყენება	დაკავებულობის ჯგუფი	S (m^2)	ლოკაცია	
			ნუმერაცია	ნიშნული
აუზის მომსახურე ტექნიკური სივრცე	სწ-2	70,8	N 01	-9.90
ღვინის საწარმო; ჭაჭისა და ზეთის სახდელი ოთახი; ქვევრების ოთახი	სმ-1	244,4	N 01; 02; 03	
აუზი/გასახდელები; სპა/მასაჟი; მშრალი/სველი საუნა;	თვ-3	210,8	N 01	-6.60
სამრეცხაო/საშრობი/დამლაგებელი	სქ	78,1	N 02	
რესტორანი/სამზარეულო	თვ-2	216,9	N 01	-3.30
მომარაგება	სქ	49,2	N 02	
ადმინისტრაცია	სქ	101,9	N 01; 03	±0.00
ჰოლი	თვ-3	44.0	N 02	
სასტუმროს ნომრები	სც-1	202,5	N 01-06	
სასტუმროს ნომრები	სც-1	368,3	N 07-34	+3.30; +6.60
სასტუმროს ნომრები	სც-1	203,5	N 35-40	+9.90
რესტორანი/ტერასა	თვ-2	137,2	N 41	

[6] ბოლო დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი, ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ.

დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები ცხრილი 1004.1.2-დან.

პროექტში სივრცეებიდან გასასვლელებისკენ წარმოდგენილია შუალედური ოთახები შესაბამისად დაანგარიშებულია დაგროვებული დატვირთვები.

დამხმარე გამოყენება პროექტის მიხედვით არის დერეფანი, ლიფტი-ფოიე, გზა-კიბე-ტამბური და ტექნიკური ოთახები რომელიც დაანგარიშებულია იატაკის ფართობებში[7] იმ დაკავებულობებთან ერთად, რომელსაც ის ემსახურება.[8]

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია ცალკე სივრცეებისთვის და ცალკე სართულებისთვის, რადგან აღნიშნულზეა დამოკიდებული თითოეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

ცხრილი 2. სივრცეების დ.დ.[9]

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა			
		ნუმერაცია	ნიშნული	**S** (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.	∑ დ.დ.
სწ-2	აუზის ტექნიკური ოთახი	N 01	-9.90	70,8	27,9	3	
სმ-1	ღვინის მცირე საწარმო	N 01		98,5		11	25[10]
სქ	სამრეცხაო/საშრობი/დამლაგებელი	N 01	-6.60	40,3	9,3	5	
თვ-3	აუზი/გასახდელები; სპა/მასაჟი; ცივი/ცხელი საუნა	N 01		211,4		45	
თვ-2	რესტორანი	N 01	-3.30	134,5	1,4	97	
	სამზარეულო	N 02		81,7	18,6	5	
სქ	მომარაგება	N 01		23,4	9,3	3	
თვ-3	ჰოლი	N 02	±0,00	44,0	1,4	32	45[10]
სქ	ადმინისტრაცია	N 03		14,6	9,3	2	
სც-1	სასტუმროს ნომერი	N 01	±0,00; +3.30; +6.60; +9.90	20,0	18,6	2	
თვ-2	რესტორანი/ტერასა	N 41	+9.90	137,2	1,4	98	

ცხრილი 3. სართულების დ.დ.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება (მათ შორის ცირკულაციის სივრცეები)[11]	სართული	დატვირთვა			
			S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.	∑ დ.დ.
სწ-2; სმ-1	საწარმო/სათავსები, ტექნიკური ოთახი	-3 (-9.90)	320,0	9,3 (მთლიანი)	35	35
თვ-3	აუზი/გასახდელები/სპა/საუნა;	-2 (-6.60)	210,8	4,7 (სუფთა)	45	54
	სამრეცხაო/დამლაგებელი		78,1	9,3 (მთლიანი)	9	
თვ-2	რესტორანი	-1 (-3.30)	134,5	1,4 (სუფთა)	96	107
	სამზარეულო		81,7	18,6 (მთლიანი)	5	
სქ	მომარაგება		49,2	9,3 (მთლიანი)	6	

[7] სადაც მოთხოვნილია დაკავებულობის დატვირთვის ანგარიში იატაკის მთლიანი ფართობით.

[8] ამასთან მათი ცალკე დაკავებულობად კლასიფიცირება და დატვირთვის დაანგარიშება არ ხდება, რადგან წარმოადგენენ შენობის ცირკულაციისთვის და ტექნიკური მომსახურებისთვის განკუთვნილ, დაუკვაბელ სივრცეებს.

[9] ვინაიდან ყველა სივრცეს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი, თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე. დეტალური ინფორმაცია დამკავებელთა რაოდენობაზე თითოეული სივრცისთვის, წარმოდგენილია პროექტში.

[10] დაგროვებული დატვირთვა

[11] დერეფანი, გზა-კიბე, ლიფტი, ტექნიკური ოთახები.

თვ-3	ჰოლი	1 (±0,00)	44.0	1,4 (სუფთა)	32	54
სც-1	სასტუმროს ნომრები		202,5	18,6 (მთლიანი)	11	
სქ	ადმინისტრაცია		101,9	9,3 (მთლიანი)	11	
სც-1	სასტუმრო ნომრები	2 (+3.30)	368,3	18,6 (მთლიანი)	20	20
სც-1	სასტუმრო ნომრები	3 (+6.60)	368,3		20	20
სც-1	სასტუმრო ნომრები	3 (+9.90)	203,5		11	109
თვ-2	რესტორანი/ტერასა		137,2	1,4 (სუფთა)	98	

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

ref.#: 41. ცხრილი 503

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[12] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლმედეგობის მიმართ მოთხოვნები გამოსაყენებელ მასალებზე ცხრილი 601 და 602_ის მიხედვით.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5 ცხრილი 503-ს მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფების გათვალისწინებით:[13]

ცხრილი 4. სიმაღლე

დაკავებულობის ჯგუფი	შენობის სიმაღლე (მ)		სართულიანობა		კონსტრუქცია	
	დასაშვები	დაგეგმილი	დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სწ-2; სმ-1; სქ; სც-1; თვ-2; თვ-3	შეუზღუდავი	14.70	შეუზღუდავი	-	I	A

ცხრილი 5. ფართობები

დაკავებულობის ჯგუფი	სართულიანობა (ნიშნულები)	სართულის ფართობი S (m²)		კონსტრუქცია	
		მაქსიმალური დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სწ-2; სმ-1; სქ; სც-1; თვ-2; თვ-3	ყველა	შეუზღუდავი	-	I	A

3.2. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** წარმოდგენილი გამოსაყენებელი მასალების ცეცხლმედეგობის, ფართობისა და სიმაღლეების გათვალისწინებით და ყველა ობიექტის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია **I (A)**.

3.3. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

[12] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

[13] კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სიმაღლე, სართულები და ფართობი შეუზღუდავია

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 3 სთ > გათვლილია 3სთ (34X34სმ კრემნიუმის ბეტონის სვეტები. იხ. ცხრილი 722.2.4)
- **გარე მზიდი კედლები:** 3 სთ > გათვლილია 4 სთ (20 სმ კაჟბადიანი შემავსებელი მასიური ბეტონი იხ. ცხრილი 721.1(2))
- **შიგა მზიდი კედლები:** 3 სთ > გათვლილია 4 სთ (20 სმ კაჟბადიანი შემავსებელი მასიური ბეტონი იხ. ცხრილი 721.1(2))
- **გარე არამზიდი კედლები**: **ცხრ. 602 შესაბამისად** [14] 2 სთ- > გათვლილია 4 სთ (20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). და 20 სმ კაჟბადიანი შემავსებელი მასიური ბეტონი იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **შიგა არამზიდი კედლები და ტიხრები**: 0.5 სთ > გათვლილია 3 სთ და 4 სთ_ზე მეტი, სივრცის გამმიჯნავი ტიხრები, საატუმრო ნომრების და დერეფნის გამმიჯნავები (10 სმ და 20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2))
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 4 სთ (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1,5 სთ > გათვლილია 4 სთ (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

3.4. **ტიპი I (A)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია სწორად, ცხრილი 602 შესაბამისად.

ცხრილი 6. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად)

გარე კედლის მონაკვეთი	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
A	სწ-2; სმ-1; სც-1; თვ-2; თვ-3; სქ	X > 9	I (A)	1 სთ	> 1 სთ
B_1, B_2, B_3		3 ≤ X < 9			
D		0 < X < 9			

კერძოდ, თითოეული გარე კედლის დაშორება ცალ-ცალკეა გაზომილი და მისადაგებული ცხრილის პარამეტრებსა და დაკავებულობის ჯგუფებს.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

4.1. <u>გასასვლელთან მისადგომი</u>: გასასვლელთან მისადგომი 1014 ქვეთავის შესაბამისად არის დაპროექტებული. დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები, გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ ცხრილი 1014.3-ის შესაბამისად:

ცხრილი 7. საერთო სავალი ბილიკის შეფასება

სართული/ნიშნული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი [15]		
	ჯგუფი	დატვირთვა	საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-3 (-9.90)	სწ-2	< 30	კი	30 მ	18.85 მ
	სმ-1	< 30			13.40 მ
-2 (-6.60)	სქ	< 30			12.90 მ
-1 (-3,30)	სც-1	> 30		23	14.75 მ
4 (+9,90)	თვ-2	> 30			15.00 მ
-2 (-6,60)	თვ-3	> 30			13.75 მ

4.2. <u>გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები</u>: კომპონენტების

[14] დეტალურად იხ. შემდეგი ცხრილი.

[15] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე დაშორებული სივრცე თითოეული ტიპის დაკავებულობიდან

რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი 1015.1**, 1015.1 და 1015.1.1 პარაგრაფების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

ცხრილი 8. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის[16]

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	სივრცე №	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
			მაქსიმალური	არსებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-3 (-9.90)	სწ-2	01	29	3	1	2
	სმ-1	01	49	11	1	2
-2 (-6.60)	სქ	01		5	1	1
4 (+9,90)	თვ-2	41		98	2	2
-2 (-6.60)	თვ-3	01		45	1	2
-2 (-6,60)	სც-1	01	10	2	1	1

4.3. თითოეულ სართულზე, გასასვლელის გზა-კარებისთვის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მე_2 გამონაკლისის მოთხოვნები, კერძოდ 2 გზა-კარის მქონე შენობის ან ფართობის გასასვლელის გზა-კარები ერთმანეთისგან დაცილებულია შენობის მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის 1/3 მეტი მანძილით, რაც გრაფიკულად არის ასახული პროექტში.

4.4. სართულიდან გასასვლელების მიმართ დაცულია 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნები და თითოეულ სართულზე გათვალისწინებულია 2-2 გასასვლელი.

4.5. <u>გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი:</u> სწორად არის მიღებული საპროექტოდ გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები 1016.2 ცხრილის საფუძველზე და ასახულია პროექტში. კერძოდ, ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი დაცულია:

ცხრილი 9. მაქსიმალური სავალი მანძილები

სართული	დაკავებულობა	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი		
		საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-3 (-9.90)	სწ-2	კი	120 მ	21.00 მ
	სმ-1		75 მ	13.50 მ
1 (±0.00)	სქ		90 მ	23.00 მ
1 (±0.00)	სც-1		75 მ	18.40 მ
4 (+9,90)	თვ-2			15.90 მ
-2 (-6,60)	თვ-3			20.00 მ

4.6. <u>დერეფნები:</u>

4.6.1. დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1018.1 ცხრილის მიხედვით:

[16] ვინაიდან ყველა მსგავს დაკავებულობაში სივრცეებს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი (მთელ შენობაში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე.

ცხრილი 10. დერეფნების ცეცხლმედეგობა

სართული/ ნიშნული	დაკავებულობა	დ.დ	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათებში)		
			საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-2_+4 (-6.60_+9.90)	სმ, თვ, სწ, სქ	> 30	კი	0.0	-
1-4 (±0.00_+9.90)	სც-1	> 30	კი	0.5	>1

4.7. <u>შენობიდან გამოსასვლელი:</u> პროექტით დაცულია წესების 1027 ქვეთავის მოთხოვნები. შენობის გასასვლელებთან მიმართებაში, მიწის დონეზე გამოყენებულია 1027.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისი და დაცულია მოთხოვნები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

5.1. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები მოწყობილია 1022 ქვეთავების შესაბამისად. მათი და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

ცხრილი 11. გამტარუნარიანობის შეფასება

სართული/ ნიშნული	დაკავებულობის ჯგუფი	Σ დ.დ.	კომპონენტი	გამტარუნარიანობა		
				გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ)	მოთხოვნილი სიგანე (სმ)	გათვალისწინებული სიგანე (სმ)
-3 (-9.90)	სმ-1 სწ-2	35	გზა-კიბე	0,51	17,85	233
			გზა-კარი	0,38	13,3	164
-2 (-6.60)	თვ-3, სქ	54	გზა-კიბე	0,51	27,54	233
			დერეფანი	0,38	20,52	180
			გზა-კარი	0,38	20,52	164
-1 (-3.30)	თვ-2, სქ	107	გზა-კიბე	0,51	54,57	233
			დერეფანი	0,38	40,66	130
			გზა-კარი	0,38	40,66	164
1 (±0,00)[17]	სქ, თვ-3, სც-1	54	დერეფანი	0,38	20,52	160
			გზა-კარი	0,38	20,52	280
2 (+3.30)	სც-1	20	გზა-კიბე	0,51	10,2	233
			დერეფანი	0,38	7,6	160
			გზა-კარი	0,38	7,6	164
3 (+6.60)	სც-1	20	გზა-კიბე	0,51	10,2	233
			დერეფანი	0,38	7,6	160
			გზა-კარი	0,38	7,6	164
4 (+9.90)	სც-1, თვ-2	109	გზა-კიბე	0,51	55,59	233
			დერეფანი	0,38	41,42	160
			გზა-კარი	0,38	41,42	164

5.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;

5.3. გზა-კიბეების ბაქანების სიგანეები აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ სიგანეს;

5.4. **1009.16** ქვეთავის თანახმად სახურავის ზედაპირამდე გრძელდება ერთი გზა-კიბე;

5.5. დერეფნის მინიმალური ზომები აკმაყოფილებს **1018.2 ცხრილით** მოთხოვნილ მაჩვენებლებს.

[17] ±0,00 ნიშნულის სართულისთვის, გზა-კიბე და დერეფანი არ წარმოადგენს შენობიდან გასასვლელ საშუალებას.

ცხრილი 12. დერეფნის სიგანე

სართული/ ნიშნული	დაკავებულობა	დერეფნის მინიმალური სიგანე	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	თვ-2, სქ	1,2 მ	1,3 მ

5.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია **1008.1.1** ქვეთავის გათვალისწინებით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალი სიგანე.

5.7. დაცულია ქვეთავი **1008.1.2**-ის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

6.1. **ლიფტები:** 1007.2.1 ქვეთავის თანახმად, შენობას აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი არ მოეთხოვება, თუმცა პროექტში წარმოდგენილია მისაწვდომი ლიფტი (არა აუცილებელი გასასვლელი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ მე_17 ქვეთავის მოთხოვნებს.

6.2. **გზა-კიბეები:** „იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან“. გზა-კიბის სიგანის ნაწილსა და თავშესაფრის ფართობთან მიმართებაში გამოყენებულია 1007.3 ქვეთავის პირველი და მეორე გამონაკლისი, რის თანახმადაც 1.2 თავისუფალი სიგანის მოთხოვნის დაცვა და თავშესაფრის ფართობები საჭირო არ არის გზა-კიბეებთან შენობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი;

6.3. **თავშესაფრის ფართობი:** 1007.3 და 1007.4 ქვეთავების მე_2 გამონაკლისის საფუძველზე შენობას თავშესაფრის ფართობები არ მოეთხოება;

6.4. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);

6.5. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში — მიწისპირა დონე შენარჩუნებულია, შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი, რაც ასახულია ნახაზებზე.

6.6. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტში ყველა სართულზე საზოგადოებრივ მოხმარების სივრცეებისთვის წარმოდგენილია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი მისაწვდომი ტუალეტის ოთახი;

6.7. **საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები**: წესების 1107.6.1.2 ქვეთავით პროექტში ყველა საცხოვრებელი ერთეული უნდა იყოს „ბ“ ტიპის, ხოლო რაც შეეხება „ა“ ტიპის მისაწვდომ ერთეულებს, 1107.6.1.1 ქვეთავის მიხედვით მოეთხოვება 2 მისაწვდომი ერთეული, რაც ასევე დაკმაყოფილებულია პროექტში. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებს“

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

7.1. ფასადები სადაც ღიობებია გათვალისწინებული, წესების თანახმად სხვადასხვა ოდენობით იზღუდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წესების შესაბამისად არის დაგეგმარებული (ცხრილი 705.8)

ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან[18]

მონაკვეთი	ნიშნული	ფართობები (კვ.მ)			ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გათვალისწინებული
		ფასადის	ღიობის					
			დაცული	დაუცველი				
A; B_1; B_2[19]	**-6,50** **+9.50**	-	–	-	9,0 მ ან მეტი 6.0 მ ან მეტი და 7.5 მ-ზე ნაკლები 7.5 მ ან მეტი და 9.0 მ-ზე ნაკლები	დაუცველი სამხეფით	შეუზღუდავი	-
B_3	**-6.50**	73.3	-	53.8	4.5 მ ან მეტი და 6.0 მ-ზე ნაკლები	დაუცველი სამხეფით	75%	73.3%
D[20]	**-6.50** **+9.50**	-	-	-	0 მ ან მეტი და 1,0 მ-ზე ნაკლები	-	დაუშვებელია	0%

5.1. შენობას 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის საფუძველზე: „თუ, 705.8 ქვეთავის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე, გარე კედლის ფართობის, სულ მცირე, 25%-ზე დასაშვებია დაუცველი ღიობები“, შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება

8.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

